

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2018 წლის 17 იანვარი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

„დმანისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №50 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/12/2017, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.156.016298) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დმანისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 6433,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) გადასახადები – 1550,0 ათასი ლარი;

ბ) გრანტები – 3881,2 ათასი ლარი;

გ) სხვა შემოსავლები – 1002,5 ათასი ლარი.

2. განისაზღვროს არაფინანსური აქტივების კლება 15,0 ათასი ლარის ოდენობით.

3. წლის დასაწყისში არსებული ნაშთიდან 1570,4 ათასი ლარი მიმართული იქნეს ხარჯების დასაფარავად.

4. დადგენილების მე-17 მუხლით დამტკიცებული დმანისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 6448,5 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 8019,1 ათასი ლარის ოდენობით და მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, 8019,1 ათასი ლარის ოდენობით.

5. დადგენილების მე-17 მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებებს დაემატოს ორგანიზაციული კოდი 0105 „მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის და სხვა ვალების დაფარვა“ – 55,0 ათასი ლარის ოდენობით.

6. დადგენილების მე-17 მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 0301 „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ საქონელი და მომსახურების მუხლი 100,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 298,3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1362,5 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 2023,9 ათასი ლარის ოდენობით.

7. დადგენილების მე-17 მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებები ორგანიზაციული კოდი 030201 „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ საქონელი და მომსახურების მუხლი 60,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 80,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 230,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 659,9 ათასი ლარის ოდენობით.

8. დადგენილების მე-17 მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 0302 „ბინათმშენებლობის“ საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვროს 40,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 770,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 876,9 ათასი ლარის ოდენობით.

9. დადგენილების მე-17 მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 030301



„მუნიციპალიტეტის სოფლების და ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობის“ საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვროს 28,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 200,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 212,0 ათასი ლარის ოდენობით.

10. დადგენილების მე-17 მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 0304 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვროს 18,9 ათასი ლარის ოდენობით.

11. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დმანისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მერაბ ოქრიაშვილი

დანართი 1

თავი I
დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	7,135.1	7,163.4	2,184.1	4,979.3	6,433.7	130.0	6,303.7
გადასახადები	2,148.8	1,830.0	0.0	1,830.0	1,550.0	0.0	1,550.0
გრანტები	4,457.8	5,053.1	2,184.1	2,869.0	3,881.2	130.0	3,751.2
სხვა შემოსავლები	528.5	280.3	0.0	280.3	1,002.5	0.0	1,002.5
ხარჯები	3,396.5	3,383.7	50.0	3,333.7	4,102.5	130.0	3,972.5
შრომის ანაზღაურება	1,109.0	922.2	0.0	922.2	800.9	57.9	743.0
საქონელი და მომსახურება	808.6	978.5	50.0	928.5	1,574.6	25.1	1,549.5
პროცენტი					55.0		55.0
სუბსიდიები	1,233.5	1,272.0	0.0	1,272.0	1,445.0	45.0	1,400.0
გრანტები	40.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
სოციალური უზრუნველყოფა	186.5	161.5	0.0	161.5	177.0	2.0	175.0
სხვა ხარჯები	18.9	29.5	0.0	29.5	30.0	0.0	30.0
საოპერაციო სალდო	3,738.6	3,779.7	2,134.1	1,645.6	2,331.2	0.0	2,331.2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,844.3	4,157.8	2,331.8	1,826.0	3,901.6	370.4	3,531.2
ზრდა	4,874.2	4,182.8	2,331.8	1,851.0	3,916.6	370.4	3,546.2



კლება	29.9	25.0	0.0	25.0	15.0	0.0	15.0
მთლიანი სალდო	-1,105.7	-378.1	-197.7	-180.4	-1,570.4	-370.4	-1,200.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-29.2	-465.1	-265.1	-200.0	-1,570.4	-500.4	-1,070.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	29.2	465.1	265.1	200.0	1,570.4	500.4	1,070.0
ვალუტა და დეპოზიტები	29.2	465.1	265.1	200.0	1,570.4	500.4	1,070.0
ვალდებულებების ცვლილება	-20.4	-87.0	-67.4	-19.6	0.0	0.0	0.0
ზრდა							
საგარეო							
საშინაო	0.0						
კლება		87.0	67.4	19.6	0.0	0.0	0.0
საგარეო							
საშინაო	20.4	87.0	67.4	19.6	0.0	0.0	0.0
					0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0				0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	7165.0	7653.5	2449.2	5204.3	8019.1	500.4	7518.7
შემოსავლები	7135.1	7163.4	2184.1	4979.3	6433.7	0.0	6433.7
არაფინანსური აქტივების კლება	29.9	25.0	0.0	25.0	15.0	0.0	15.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	465.1	265.1	200.0	1570.4	500.4	1070.0
გადასახდელები	8271.0	7566.5	2381.8	5184.7	8019.1	500.4	7518.7



ხარჯები	3396.8	3383.7	50.0	3333.7	4102.5	130.0	3972.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	4874.2	4182.8	2331.8	1851.0	3916.6	370.4	3546.2
ნაშთის ცვლილება	-1106.0	87.0	67.4	19.6	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6433.7 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	7135.1	7163.4	2184.1	4979.3	6433.7	0.0	6433.7
გადასახადები	2148.8	1830.0		1830.0	1550.0		1550.0
გრანტები	4457.8	5053.1	2184.1	2869.0	3881.2	0.0	3881.2
სხვა შემოსავლები	528.5	280.3		280.3	1002.5		1002.5

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	2148.8	1830.0	0.0	1830.0	1550.0	0.0	1550.0
საშემოსავლო გადასახადი	518.2	280.0	0.0	280.0	200.0	0.0	200.0
ქონების გადასახადი	1630.6	1550.0	0.0	1550.0	1350.0	0.0	1350.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1059.5	1060.0	0.0	1060.0	900.0	0.0	900.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო							



დანიშნულების მიწაზე	547.5	470.0	0.0	470.0	445.0	0.0	445.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	22.6	20.0	0.0	20.0	5.0	0.0	5.0
სხვა გადასახადები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 3881.2 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი
გრანტები	4457.8	5053.1	3881.2
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4457.8	5053.1	3881.2
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	2029.9	2869.0	3881.2
გათანაბრებითი ტრანსფერი	1914.9	2739.0	3751.2
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	115.0	130.0	130.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2427.9	2184.1	0.0
საქ.რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	1405.3	1480.1	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	600.6	0	0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის თანხები	0.0		
სტიქიის შდეგების სალიკვიდაციო ფონდი	0.0	380.0	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	422	324	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1002.5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



სხვა შემოსავლები	528.4	280.3	0.0	280.3	1002.5	0.0	1002.5
შემოსავლები საკუთრებიდან	429.1	180.0	0.0	180.0	890.0	0.0	890.0
პროცენტები	74.1	0.0	0.0	0.0	50.0		50.0
რენტა	355.0	180.0	0.0	180.0	840.0	0.0	840.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	286.0	90.0		90.0	740.0		740.0
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	69.0	90.0		90.0	100.0		100.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	39.7	52.3	0.0	52.3	62.5	0.0	62.5
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	14.8	17.3	0.0	17.3	22.5	0.0	22.5
სანებართვო მოსაკრებელი	2.6	2.0		2.0	2.5		2.5
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.2	0.0		0.0	0		0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	12.0	15.3		15.3	20		20
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.0		0	0		0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	24.9	35.0	0.0	35.0	40.0	0.0	40.0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0.0	0.0		0.0	0.0		0.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	24.9	35.0		35.0	40.0	0.0	40.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	38.1	25.0		25.0	30.0		30.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	21.5	23.0	0.0	23.0	20.0		20.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 4102.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

	2017 წლის გეგმა		2018 წლის პროექტი	
	მათ შორის		მათ შორის	



დასახელება	2016 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	3,396.5	3,383.7	50.0	3,333.7	4,102.5	130.0	3,972.5
შრომის ანაზღაურება	1,109.0	922.2		922.2	800.9	57.9	743.0
საქონელი და მომსახურება	808.6	978.5	50.0	928.5	1,574.6	25.1	1,549.5
პროცენტი					55.0	0.0	55.0
სუბსიდიები	1,233.5	1,272.0		1,272.0	1,445.0	45	1,400.0
გრანტები	40.0	20.0		20.0	20.0		20.0
სოციალური უზრუნველყოფა	186.5	161.5		161.5	177.0	2.0	175.0
სხვა ხარჯები	18.9	29.5		29.5	30.0		30.0

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3901.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3916.6 ათასი ლარის ოდენობით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	236.4	102.00	55.00
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4635.9	4080.8	3861.6
0500	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის სელშეწყობა და სპორტი	2.1	0.0	0.0
სულ ჯამი		4874.4	4182.8	3916.6

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 15.0 ათასი ლარის

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	20.7	10.0	15.0



	ძირითადი აქტივები	9.5	5.0	10.0
	არაწარმოებული აქტივები	11.2	5.0	5.0
	მიწა	11.2	5.0	5.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,873.9	1,842.7	2,008.2
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	0.0	0.0	0.0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,873.9	1,842.7	2,008.2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0		
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0		
702	თავდაცვა	62.4	65.0	66.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0.0	0.0	
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3,857.0	3,269.3	2,322.2
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0		
70421	სოფლის მეურნეობა			
7045	ტრანსპორტი	0.0		
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,857.0	3,269.3	2,322.2
705	გარემოს დაცვა	247.6	268.0	330.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	247.6	268.0	330.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,021.6	1,012.5	1,985.7
7061	ბინათმშენებლობა	217.4	621.4	916.9
7063	წყალმომარაგება	52.9	30.5	739.9
7064	გარე განათება	97.4	0.0	70.0



7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	653.9	360.6	258.9
707	ჯანმრთელობის დაცვა	47.8	45.0	45.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	47.8	45.0	45.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	537.6	514.0	530.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	144.1	145.0	150.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	393.5	369.0	380.0
709	განათლება	375.3	395.0	485.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	317.2	335.0	420.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	58.1	60.0	65.0
710	სოციალური დაცვა	268.6	242.0	247.0
7101	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	90.0	85.0	90.0
71011	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	47.6	50.0	55.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	131.0	107.0	102.0
	სულ	8,291.8	7,653.5	8,019.1

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო .

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

საგანგებო ან/და გაუთვალისწინებელი ხარჯების, აგრეთვე სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 130.0 ათასი ლარი მიიმართოს:



ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 45.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 66.0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 2,0 ათასი ლარი;

დ) მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ „2015 წლის 16 ივლისის №4036 საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებულ იქნეს დელეგირებული უფლებამოსილებებიდან სავარაუდოდ 16,0 ათასი ლარი გამგეობის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაში.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2018 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქალაქში წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემისა და გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, კერძოდ:

ქ.დმანისში დარჩენილი ქუჩების და ჩიხების მოასფალტება. ასევე გათვალისწინებულია სოფ. კარაბულახში სასაფლაოს და მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ხოლო სოფ.კამიშლოში, საკირეში, ბოსლებში, ჯავახში, ტნუსში და პანტიანში მისასვლელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების



მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოდერნიზებული და რეაბილიტირებული იქნება შიდა რაიონული მნიშვნელობის გზები, ასევე შეკეთდება და აღდგება ხიდები, რითაც მნიშვნელოვნად მოწესრიგდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებთან მისასვლელი გზები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

Ø საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა;

Ø რეაბილიტირებული გზების ზრდა 30%-ით.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოებში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსება. ასევე გარე განათების ქსელის მოწყობა. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

1.2.1. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 030201)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფ.გოდაგდაგის პირველი სალამალეიქის, ზემო ოროზმანის, გუგუთის, მამიშლარის, ირგანჩაის, ქვემო კარაბულახის, კიზილაჯლოს, ოროზმანის, ამამლოს, შინდლარის, პატარა დმანისი, კამარლო, საკირე, ახა და მამულოს სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო-სამუშაოები და მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის წყლის მიწოდება.

1.2.2 ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ.დმანისში მრავალსართულიანი შენობების საცხოვრებელი ბინების სახლის სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია. ასევე გათვალისწინებულია სოფ.ქციაში, პატარა დმანისში, ზემო ოროზმანში და გოდაგდაგში სარიტუალო დარბაზების დასრულება.

1.2.3. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და სოფ. განთიადში, ირგანჩაიში და პანტიანში გარე განათების ქსელის მოწყობა.

1.2.4. დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ დმანისის ცენტრალურ ქუჩებზე ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, ხოლო სოფლებში შედარებით ნაკლები ინტერვალით ნარჩენების გატანა კვირაში 3 დღე, ასევე გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში, ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების



თავიდან აცილება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

Ø სანიტარიული წესრიგის შენარჩუნება;

Ø ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება;

Ø ქუჩების, მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისგან გაწმენდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

Ø საცხოვრებელი კორპუსების და ეზოების მდგომარეობის გაუმჯობესება;

Ø გატანილი ნარჩენების რაოდენობა;

Ø დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი.

1.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების, შენობა-ნაგებობების საკადასტრო რუქებისა და ნახაზების მომზადება.

1.3.1 ქალაქის კეთილმოწყობის,საპროექტო დოკუმენტაციის და ნახაზების მომზადების ხარჯი (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ დმანისის ქუჩების შენობა-ნაგებობების შენობა-ნაგებობების საკადასტრო რუქებისა და ნახაზების მომზადება. ასევე გათვალისწინებულია სოფ.მაშავერაში, ჯავახში და ბოსლებში მინი სტადიონის, სკვერის მოწყობა და შემოღობვა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

Ø გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

Ø მოსახლეობისათვის უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს შექმნა,საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

Ø კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.ყველა ბაღში დაგეგმილია შენობების კაპიტალური რემონტი და მათი ტერიტორიის კეთილმოწყობა.

2.1. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 9 საბავშვო ბაღი 12 ჯგუფით, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 360 ბავშვის ოდენობით,თითოეულ ჯგუფში დასაშვებია კონტიგენტი არაუმეტეს 35 ბავშვისა, რომელსაც ემსახურება 48 საშტატო ერთეული.



მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

- Ø სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ფენისათვის;
- Ø გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- Ø გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო;
- Ø საბავშვო ბაღებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა ჭარბი რაოდენობის განტვირთვა;
- Ø საბავშვო ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და დასაქმების ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- Ø საბავშვო ბაღების და მათი აღსაზრდელების რაოდენობა;
- Ø კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღები.

2.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასაქმებაში და მიცეს საშუალება დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებს რაც ხშირ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა სტაბილური დასაქმებისათვის. აღნიშნული მიზნით პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ინგლისურის, ქართული ენის ჯგუფები ეთნიკური უმცირესობისათვის და კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსები. სადაც ფუნქციონირებს 16 ჯგუფი და თითოეულ ჯგუფში გაერთიანებული იქნება 10-10 მოსწავლე, რომლის რაოდენობაც საშუალოდ შეადგენს - 154 მოსწავლეს. დმანისის მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელს ექნება საშუალება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული კურსები, რაც აამაღლებს მათ კვალიფიკაციას და ხელს შეუწყობს მათ შემდგომ დასაქმებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- Ø მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- Ø მუნიციპალიტეტის ფარგლების გარედან მოწვეული პედაგოგების რაოდენობა;

3. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტი ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეუწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ასევე ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს;

3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და მოხდება მათი დაფინანსება:



Ø სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 200-მდე სპორტსმენს.

3.1.1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს სკოლის მოსწავლეთა ჩართულობას სპორტულ შეჯიბრებებში, რაც უდაო ასახვას ჰპოვებს შემდგომ ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

2018 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები, უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ტურნირებზე და შეჯიბრებებზე ადგილობრივი სპორტსმენების მონაწილეობა, წახალისებებიან წარმატებული სპორტსმენები სხვადასხვა ჯილდოთი.

3.1.2. სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 01 02)

2018 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული სკოლა, რომელშიც ფუნქციონირებს „ძიუდოს“ ექვსი ჯგუფი, სადაც გაერთიანებულია 92 მოსწავლე, ჭადრაკის 2 ჯგუფში 20 მოსწავლე, ხოლო „ქართული ჭიდაობის“, „ფეხბურთის“, ფრენბურთის, თავისუფალი ჭიდაობის, ორთაბძოლა, ტაიკონდოს და ხრიდოლის თითო-თითო ჯგუფში გაერთიანებულია 88 მოსწავლე, სულ 200-მდე მოსწავლე;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

Ø ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;

Ø აქტიური სპორტსმენების რაოდენობის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

Ø ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;

Ø სპორტის სხვადასხვა სახეობაში მედალოსან სპორტსმენთა რაოდენობა.

3.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას.

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: კულტურის სახლი სადაც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სახის წრეები რომლებშიც სწავლობს 148-მდე მოსწავლე, ხოლო მუსიკალურ სკოლებში სწავლობს -80-მდე მოსწავლე, სადაც ემსახურება 10 პედაგოგი, რომლის კვირეული დატვირთვა სავარაუდოდ თითოეულ პედაგოგზე შეადგენს 18 საათს და მიმდინარეობს სწავლება ფორტეპიანოს განხრით და 4 ბიბლიოთეკა.

პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია;

3.2.1. კულტურის ცენტრის დაფინანსება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას.



ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წელს გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, 2018 წლის განმავლობაში დაფინანსდება: კულტურის სახლი, მუსიკალური სკოლა და 4 ბიბლიოთეკა.

3.2.2. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02– 05 02 03- 05-02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სუბსიდირება კულტურის, მუსიკალური სკოლისა და ბიბლიოთეკების გაერთიანება. ბიბლიოთეკების გაერთიანებაში ხორციელდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება-დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- Ø კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება;
- Ø კულტურის ობიექტების გამართული მუშაობა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- Ø ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- Ø კულტურის ობიექტების რაოდენობა და მდგომარეობა;

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ადგილობრივი თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

4.1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- Ø არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- Ø დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- Ø მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- Ø სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში



(კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქ. დმანისის და მის ტერიტორიაზე ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;

Ø ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამებების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

Ø მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით დმანისის

Ø მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველყოფილობის დადგენისა და გაუვნებელოების ღონისძიებები.

4.2. სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

4.2.1. ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა, 0-დან 100000 ქულამდე) საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში ოპერაციებზე დახმარების გაწევას, რომელიც სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდება. ასევე სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ონკოლოგიური და ლეიკემიით დაავადების მქონე პირების დახმარება, რომლებიც სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდებიან და მარჩენალდაკარგული ოჯახების გამოკვლევა-მკურნალობით და მედიკამენტებით დახმარების პროგრამას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

Ø ადეკვატური სერვისებით უზრუნველყოფილი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით გაუმჯობესებული მიზნობრივი ჯგუფები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

Ø სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფილი ბენეფიციართა რაოდენობა.

4.2.2. უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი (მარტოხელა უკიდურესად დაჭირებული) ,მყოფი 42-მდე ბენეფიციარის ყოველდღიურად ერთჯერადი კვება ცხელი კერძებით ბენეფიციერების მიერ სახლში გატანებით.

4.2.3. სოციალურად დაუცველთა ოპერაციის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველთა, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 70-100000-მდე სტაციონალური სამედიცინო ერთჯერადი დახმარება.

4.2.4. სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

Ø სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების



ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით;

Ø იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით.

4.2.5. მუნიციპალური ტრანსპორტით სტუდენტების, ვეტერნების და უსინათლოების მგზავრობის საფასურის ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურება (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სტუდენტების და უსინათლოების უფასო მგზავრობა კვირაში 3 დღე.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

Ø მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

Ø უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ სხვადასხვა ყოფითი სახის სტაციონალური დახმარება;

Ø მოსახლეობის სოციალური დახმარებების დროული უზრუნველყოფა.

მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა				2018 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		საკუთარი შემოსავლები
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
დმანისის მუნიციპალიტეტი	8,291.8	7,653.5	2,449.2	5,204.3	8,019.1	500.4	7,518.7	
მომუშავეთა რიცხოვნობა	100.0	100.0	0.0	100.0	60.0	0.0	60.0	
ხარჯები	3,396.5	3,383.7	50.0	3,333.7	4,102.5	130.0	3,972.5	
შრომის ანაზღაურება	1,109.0	922.2	0.0	922.2	800.9	57.9	743.0	
თანამდებობრივი სარგო	1,000.9	843.6	0.0	843.6	691.6	53.4	638.2	
პრემია	108.1	78.6	0.0	78.6	109.3	4.5	104.8	
საქონელი და მომსახურება	808.6	978.5	50.0	928.5	1,574.6	25.1	1,549.5	
პროცენტი					55.0		55.0	
სუბსიდიები	1,233.5	1,272.0	0.0	1,272.0	1,445.0	45.0	1,400.0	
გრანტები	40.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0	



	სოციალური უზრუნველყოფა	186.5	161.5	0.0	161.5	177.0	2.0	175.0
	სხვა ხარჯები	18.9	29.5	0.0	29.5	30.0	0.0	30.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,874.4	4,182.8	2,331.8	1,851.0	3,916.6	370.4	3,546.2
	ძირითადი აქტივები	4,874.4	4,182.8	2,331.8	1,851.0	3,916.6	370.4	3,546.2
	ვალდებულების კლება	20.9	87.0	67.4	19.6	0.0	0.0	0.0
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1,873.9	1,842.7	0.0	1,842.7	2,008.2	17.0	1,991.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	94.0	94.0	0.0	94.0	54.0	0.0	54.0
	ხარჯები	1,637.0	1,724.7	0.0	1,724.7	1,953.2	17.0	1,936.2
	შრომის ანაზღაურება	1,053.7	868.2	0.0	868.2	743.0	0.0	743.0
	თანამდებობრივი სარგო	947.5	790.2	0.0	790.2	638.2	0.0	638.2
	პრემია	106.2	78.0	0.0	78.0	104.8	0.0	104.8
	საქონელი და მომსახურება	544.4	802.5	0.0	802.5	1,100.2	17.0	1,083.2
	პროცენტი					55.0		55.0
	სუბსიდია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	გრანტები	20.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	4.5	0.0	4.5	5.0	0.0	5.0
	სხვა ხარჯები	18.9	29.5	0.0	29.5	30.0	0.0	30.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	236.4	102.0	0.0	102.0	55.0	0.0	55.0
	ძირითადი აქტივები	236.4	102.0	0.0	102.0	55.0	0.0	55.0
	ვალდებულების კლება	0.5	16.0	0.0	16.0	0.0	0.0	0.0
01 01	დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	385.6	379.0	0.0	379.0	390.2	0.0	390.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	15.0	15.0	0.0	15.0	13.0	0.0	13.0
	ხარჯები	385.6	379.0	0.0	379.0	390.2	0.0	390.2
	შრომის ანაზღაურება	255.4	238.4	0.0	238.4	250.0	0.0	250.0
	თანამდებობრივი სარგო	227.3	220.8	0.0	220.8	214.2	0.0	214.2
	პრემია	28.1	17.6	0.0	17.6	35.8	0.0	35.8
	საქონელი და მომსახურება	130.2	140.6	0.0	140.6	140.2	0.0	140.2



	სუბსიდია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულების კლება							
01 02	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	1,488.3	1,388.7	0.0	1,388.7	1,458.0	17.0	1,441.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	79.0	79.0		79.0	41.0	0.0	41.0
	ხარჯები	1,251.4	1,273.7	0.0	1,273.7	1,408.0	17.0	1,391.0
	შრომის ანაზღაურება	798.3	629.8	0.0	629.8	493.0	0.0	493.0
	თანამდებობრივი სარგო	720.2	569.4	0.0	569.4	424.0	0.0	424.0
	პრემია	78.1	60.4	0.0	60.4	69.0	0.0	69.0
	საქონელი და მომსახურება	414.2	589.9	0.0	589.9	860.0	17.0	843.0
	სუბსიდია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0
	გრანტები	20.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	4.5	0.0	4.5	5.0	0.0	5.0
	სხვა ხარჯები	18.9	29.5	0.0	29.5	30.0	0.0	30.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	236.4	99.0	0.0	99.0	50.0	0.0	50.0
	ძირითადი აქტივები	236.4	99.0	0.0	99.0	50.0	0.0	50.0
	ვალდებულების კლება	0.5	16.0	0.0	16.0	0.0		0.0
01 03	სარეზერვო ფონდი	0.0	70.0	0.0	70.0	100.0	0.0	100.0
	ხარჯები	0.0	70.0	0.0	70.0	100.0	0.0	100.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	70.0	0.0	70.0	100.0	0.0	100.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა	0.0	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0



	ხარჯები	0.0	2.0	0.0	2.0	0.0	0.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	2.0	0.0	2.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	3.0	0.0	3.0	5.0	0.0	5.0
	ძირითადი აქტივები	0.0	3.0	0.0	3.0	5.0	0.0	5.0
01 05	მგზ მძღბული სესხის და სხვა ვალების დაფარვა					55.0	0.0	55.0
	ხარჯები					55.0		55.0
	საქონელი და მომსახურება					0.0		
	პროცენტი					55.0	0.0	55.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	62.4	65.0	0.0	65.0	66.0	66.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	6.0	6.0	0.0	6.0	6.0		6.0
	ხარჯები	62.4	65.0	0.0	65.0	66.0	66.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	55.3	54.0	0.0	54.0	57.9	57.9	0.0
	თანამდებობრივი სარგო	53.4	53.4	0.0	53.4	53.4	53.4	0.0
	პრემია	1.9	0.6	0.0	0.6	4.5	4.5	0.0
	საქონელი და მომსახურება	7.1	11.0	0.0	11.0	8.1	8.1	0.0
	გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	62.4	65.0	0.0	65.0	66.0	66.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	6.0	6.0	0.0	6.0	6.0		6.0
	ხარჯები	62.4	65.0	0.0	65.0	66.0	66.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	55.3	54.0	0.0	54.0	57.9	57.9	0.0
	თანამდებობრივი სარგო	53.4	53.4	0.0	53.4	53.4	53.4	0.0



	პრემია	1.9	0.6	0.0	0.6	4.5	4.5	0.0
	საქონელი და მომსახურება	7.1	11.0	0.0	11.0	8.1	8.1	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5,126.2	4,549.8	2,449.2	2,100.6	4,637.9	370.4	4,267.5
	ხარჯები	469.9	398.0	50.0	348.0	776.3	0.0	776.3
